მე-8 კლასი

ძირითადი დავალებები (100 ქულა)

გეომეტრია *(20 ქულა)*

1. რისი ტოლი არ შეიძლება იყოს ABC სამკუთედის AC გვერდი, თუ $AB = 15, BC = 20$ და BH სიმაღლე 12-ის ტოლია?
   A) 25 B) 7 C) 16
2. ABC სამკუთხედის AB და BC გვერდებზე აღებულია შესაბამისად E და F წერტილები ისე, რომ ABC და EBF მსგავსი სამკუთხედებია. იპოვეთ EF, თუ AB=10, BC=16, AC=12, BE=8, BF=5
   A) 8 B) 6 C) 4

ალგებრა *(20 ქულა)*

3. იპოვეთ უდიდესი მთელი რიცხვი, რომელიც ნაკლებია $3\sqrt{5}$-ზე ***(5 ქულა)***
   A) 3 B) 5 C) 6
4. $2^u \cdot 4^v = 32$ იპოვეთ $u + 2v$ ***(5 ქულა)***
   A) 7 B) 6 C) 5
5. ცნობილია, რომ $(x + 2y)^2 = 4xy$. რას უდრის $(x - y)^2$ ***(10 ქულა)***
   A) 0 B) y^2 C) 1

მონაცემთა ანალიზი *(30 ქულა)*

ცხრილში მოცემულია საკონდიტრო ქარხნის მიერ წარმოებული სამი სახის შოკოლადის შესახებ ინფორმაცია:

	წარმოებუული რაოდენობა	გაყიდული (%)	შემოსული თანხა
რძიანი	25000	48	27 000 ლარი
ქიშმიშიანი	18000	60	24 300 ლარი
თხილიანი	16000	70	24 640 ლარი

6. რა იქნებოდა შემოსული თანხა, თუ ქიშმიშიანი შოკოლადი მთლიანად გაიყიდებოდა?
   A) 28000 ლარი B) 40500 ლარი C) 50000 ლარი
7. რომელი სახის შოკოლადი გაიყიდა ყველაზე მეტი?
   A) რძიანი B) ქიშმიშიანი C) თხილიანი
8. რომელი შოკოლადია ყველაზე იაფი?
   A) რძიანი B) ქიშმიშიანი C) თხილიანი

ლოგიკა *(30 ქულა)*

9. სამი მოჭადრაკე ერთმანეთთან ჭადრაკს თამაშობდა. პირველმა სულ 9 პარტია ითამაშა, მეორემ - 11. რამდენი პარტია შეიძლებოდა ეთამაშა მესამეს?
   A) 8 B) 9 C) 13
10. 6×6 დაფიდან სულ მცირე რამდენი უჯრა უნდა ამოვჭრათ, რომ დარჩენილი ნაჭრიდან 2×2 კვადრატის ამოჭრა აღარ შიძლებოდეს?
    A) 18 B) 9 C) 6

ბონუს დავალებები *(30 ქულა)*

შეკითხვები ფინანსური განათლებიდან:

1. ბანკში გაცვლითი კურსია 1 დოლარი = 2,67ლარი, ხოლო სავალუტო ჯიხურში 1 დოლარი = 2,65 ლარი. საბამ ბანკში 1500 დოლარით შესაბამისი ოდენობის ლარი შეიძინა. რამდენ ლარს იზარალებდა საბა, თუ ის ბანკის ნაცვლად სავალუტო ჯიხურს მიაშურებდა?
   A) 12 ლარით B) 30 ლარით C) 45 ლარით

2. ლიკას ყოველთვიური შემოსავალი 1200 ლარია, მარიამის კი - 1500 ლარი. რომელ მათგანს შეუძლია ყოველთვიურად მეტი ფულის დაზოგვა?
   A) ლიკას
   B) მარიამს
   C) ვერ დავადგენთ, რადგან არ ვიცით თითოეულის ხარჯები.

ლიდერი კომპანიების კითხვები მომავალ ლიდერებს:

„კრისტალის“ ბონუს კითხვა:

3. სახლიდან სითბოს კარგვის შესამცირებლად, გიამ კვადრატული ფანჯრის მინაზე სითბოს დამზოგი გამჭვირვალე ფირი გააკრა. რა არის ამ ფირის ფართობი, თუ ფანჯრის მინის გვერდის სიგრძე 20 სანტიმეტრია?
   A) 400კვ.სმ. B) 40კვ.სმ C) ვერ დავადგენთ

“ლიბერთი ბანკის“ ბონუს კითხვა:

4. რა თანხა ექნება კოკას ანგარიშზე წლის ბოლოს, თუ ლიბერთი ბანკი მას ყოველ შეტანილ ლარზე წელიწადში 9,25 თეთრს არიცხავს და კოკამ წლის დასაწყისში 100 ლარი შეიტანა?
   A) 109,25
   B) 100 ლარი და 9,25 თეთრი
   C) ვერ დავადგენთ, რადგან არ ვიცით საწყისი ნაშთი და წლის განმავლობაში ანაბრიდან გატანილი და შეტანილი თანხების ოდენობა

“ბიუ-ბიუს“ ბონუს კითხვა:

5. რამდენ კილოგრამს იწონის “ბიუ-ბიუს“ ნედლი ქათამი, თუ მისი წონა უდრის 1 კგ-ს დამატებული საკუთარი წონის ნახევარი?
   A) 1კგ-ს და 500 გრამს B) 2 კგ-ს C) ვერ დავადგენთ

წარმატების კიდევ ერთი შანსი მაგთისგან * :

6. რატი მაგთიკომის მომხმარებელია. მას ბევრი მეგობარი ჰყავს და ხშირად უწევს მათთან ტელეფონით კომუნიკაცია. ამიტომ მას სურს გონივრული არჩევანი გააკეთოს მაგთიკომის სხვადასხვა შემოთავაზებას შორის. მოცემული პირობის მიხედვით, რომელი შეთავაზება იქნება საუკეთესო რატისთვის, თუ თვეში რატი:
   - სატელეფონო საუბარზე ხარჯავს 300 წუთს;
   - გზავნის 300 SMS-ს;
   - იყენებს 1000 მბ ინტერნეტს;

   A) გაგზავნოს 1 SMS - 6 თეთრად, ისაუბროს წუთში - 24 თეთრად; გამოიყენოს 1 მბ ინტერნეტი - 10 თეთრად;
   B) იყიდოს 300 წთ სალაპარაკო დრო - 30 ლარად; 1000მბ ინტერნეტი - 5 ლარად, 400 SMS – 2.5 ლარად;
   C) იყიდოს პაკეტი „მარტივი 25“ (ინტერნეტი-1000 მბ, SMS და ზარები ულიმიტო) 25 ლარად;

** გაეცი ბონუს კითხვას სწორი პასუხი, გახდი მაგთის აკადემიური კლუბის წევრი და მიიღე უფასო სიმ ბარათი, სიგელი, ყოველთვიური 100მბ, 100 SMS და 30 წუთი საჩუქრად.*